


# მწევესი




მე ვარ მწევესი კეთილი: მწევესმან კეთილმან სული თვისი დასლდის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შაკვე ცხოვარი ჩემი წაწევედული. მართე იყოს სისარულ ცათა შინა, ერთისათვის ცადვილისა. ლუკ. 15—4.  
შაკვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიმინენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

## ადამიანისადას.

ღვთის მადლით და შეწვევით, თანამომოგთა და საზოგადოების თანაგრძობით, ჩვენი ორგანო „მწევესი“ წარსული ოკდომბრის ჰირველი რიცხვიდან გადადგა მეოცე წელიწადში, სოლო რუსული გამოცემა «Пастырь»-ი—მეთორმეტე წელში. სწორედ დიდი დროა ჟურნალ-განხეთის არსებობისათვის ჩვენში.. ჟურნალ-განხეთის არსებობის საქმე სხვა ქვეყნებში თანდათან ადვილდება და უმჯობესდება, მაგრამ ეს არ ითქმის ჩვენში საზოგადოდ და

ჩვენთვის განსაკუთრებით. აქ რაც დრო მიდის, ისე უმეტესად მნელდება ეოველი საქმე.. მკითხველი თუ ცოტათადენი შეკნებულია, ადვილად მიხვდება ამ მოველენის მიზეზს..

ცხადია ეველასათვის ჩვენ ორგანოთა პროგრამა; ღმერთია მოწამე, რომ ჩვენს ორგანოს კეთილი მიზნის მეტი არა რაიმე ცუდი მიმართულება არა აქვს. ნიადაც მეცადინობს იგი, რომ შეძლებისა დავგარად გაავრცელოს საზოგადოებაში სალიტერატურო სწავლა-მეცნიერება, ხელი შეუწეოს ხალხში ჭკმაბრიტი რელიგიური და სწავლობრივი სწავლის გავრცელებას. ამასთანავე რედაქცია მეცადინეობს,





რომ შეძლებისა დაგვარად შეატეობინოს გარეულთა და შინაურთ: რანი ვიპავეთ, რანი ვართ და რა ვიქმნებით, რომ ამით ავსცდეთ უბედურს და უარესს მოძავალს. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი პროგრამა შეიქმნა სოციალდემოკრატიისთვის ჩვენ ორგანიზაციაში დევნილების მიხედვით. ამისთანა მიმართულება არ მოსწონთ სოციალისტებს და ამიტომ აკვირდებიან და ცუდი განიზრახეს ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ. „მარადევი სიტყვანი ჩემნი მოძიანგეს, ჩემთვის ივენეს უოველნი ზრახვანი მათნი ბოროტებით“... მართალი რომ სთქვას ვაცმა, აქ არაფერია გასაკვირველი; ეშმაკი— ეს დაუძინებელი მტერი მთელი კაცობრიობისა, არასოდეს არ მოისვენებს. ხან ერთს გაიხდის თავის იარაღად და ხან მეორეს და აღმზავს ხოლმე ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ... მაგრამ ჩვენ ვესაუბრდებით და იგი იქნება ჩვენი მფარველი... იგი გვიფარავს ჩვენ მტერთა ჩვენთაგან და შეძლებს მასზედ კვაქვს დაღებული სასიყვარულო.


„მტერთა ჩემთა ჭსთქვეს ბოროტი ჩემთვის“, მაგრამ „ნუშედა უსარის ჩემზედა მტერთა ჩემთა უსამართლოდ, რომელთა მომიძულეს მე ცუდად და თვალ უოფდეს თვალთ“... სიმართლე არ დაიფარება, როცა იქნება შეიტეობა სიცრუე და დაეშობა იგი.

არა მიმხედველი სხვა-და-სხვა ცუდ და ბოროტ განზრახვათა ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ სოციალდემოკრატიის მიმართ მუშაობისთვის, დამიძებული სასოკადობების ჩვეულებრივ თანაგრძნობასე და სწავლივით დასმარებასე, ვაცხადებთ მოძავალი წლისათვის ხელის მოწერას ჩვენს ჟურნალზე. ფასი და

პირობანი ჟურნალის დაკვეთისა, ჩვენსაკე ჟურნალის განცხადებაშია.

მორჩილად ვსთხოვთ, ვინაც ჟურნალის ფასი არ წარმოუდგენია, დაუჩქარონ მის გამოკვანას და მოძავალი წლისათვის ვინაც ჟურნალის დაბარება სურდეს, დროით გვაცხადონ.

რედ. ლეო. დ. დამაშაძე.



საჭიროა თუ არა ჩვენი სემინარიუმებისთვის კიდევ თვითგანვითარება.

ეკლესიის მწყემსი, მოძღვარი, მარტო მღვდელმთავრების აღმსარებელი კი არ არის, არამედ მასწავლებელიც, სულიერი მოძღვარი სამწყსოსის. ის უნდა ზრუნავდეს თავის სამწყსოს სულიერ ცხოვრებაზედ, მას აბარია მათი ბედი და იღბალი. დღეს სამსახური და ჯილდო იმ კეთილი მწყემსისა, რომელიც თავის სამწყსოს კეთილდღეობაზედ ფიქრობს და იცავს მას, „ამ ქვეყნის“ გამხრწნელ გავლენათაგან. მაგრამ დღესასწაული იმ დაუდევარი მწყემსისა, რომელიც თავის პირად სარგებლობას გამოეყო სამწყსოსიდან და სრულიად არ ფიქრობს მის სულიერად განვითარებაზედ. პავლე მოციქულს აი სწორედ ეს მოძღვრის ვალდებულება აქვს სახეში, როდესაც ამცნებს მოძღვართ, რათა მათ არ დაიფიქრონ, რომ უმთავრესი სასულიერო ხელმძღვანელი და მასწავლებელი არიან თავის სამწყსოსისა. „ესწამებ მე წინაშე ღმრთისა და უფლისა იესო ქრისტესა, რომელმან განსაჯნეს ცხოველნი და მკვდარნი გამოჩინებისაგან მისისა და სუფევისა მისისა: ჰქადაგე სიტყვაი, ზედადადგე ჯამითი უფაზოდ, ამხილე, შერისხენ და ნუ გემინის—ეცოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“ (2 ტიმ. 4, 1—2). აი ამ მცნებას ადგა იგი თავის ეპისტოლეებში; პირველ ადგილს მწყემსის მოღვაწეობაში სამწყსოს სულიერად აღზრდას აძლევდა.

მაგრამ, რომ სხვას ასწავლო, უნდა იცოდეს, რა და როგორ ასწავლო, ამიტომ თითონაც უნდა სწავლობდეს. აი როგორ დარიგებას აძლევს იგივე მოცუტული თავის ახლობელ მოწაფეს ამის შესახებ: „ეკრძალე თავსა შენსა და მოძღვრებითა მით: და ადგერ მათ ზედა, რამეთუ ამას რა ჰყოფდეს, თავიცა შენი აცხოვნო და მოარჩილნიცა შენნი“ (1 ტიმ. 4, 16).

ამნაირად დაუეკირდი შენს თავს, თვალყური ადევნე თვით-განვითარებას—ეცადე საღმრთო მოძღვრების გონიერად შეთვისებას—ყველა ამას შეეცადე დაუზარებლად, ამითი შენ იხსნი შენს თავსაც და სამწყისსაც. ასეთია მცნება უპირველესი მოცუტულის, რომელიც სხვებზედ ძალიან ცდილობდა ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას,—საეკლესიო მწყემსთან,—მცნება, რომელიც ყოველმა მოძღვარმა ოქროს ასაგებით უნდა აღინიშნოს გულში და ცხოვრებაში შეძლებისა დაგვარად არ უღალატოს მას. მხოლოდ პირადი თვით აღზრდილი და თვით-განვითარებით იქნება ნაყოფიერი მწყემსის მოღვაწეობა; მხოლოდ ასეთი მოქცევით, შეუძლია მას განახორციელოს დიდი ვალდებულება!

შეუძლია თუ არა ამის შედეგ საეკლესიო მწყემსმა იკმაროს, რომ იმან სპეცილური—საღვთისმეტყველო სასწავლებელი—სემინარია ან აკადემია გაათავა და დიდხანს ემზადებოდა ამ სამსახურისათვის?

არა,—მარტო სასწავლებლის მომზადება მისთვის არ არის საკმარისი. არც ერთ სასწავლებელს არ შეუძლია მისცეს კაცს ყველა ის, რასაც ცხოვრება თხოულობს და განსაკუთრებით კი, რაც საჭიროა ეკლესიის მწყემსისათვის. სკოლა ხომ ქარხანა არ არის, და კაცი კი—ქარხნის ნაწარმოები, რომელიც მომზადებულია შეკვეთილი ნიმუშის მსგავსად. სკოლის მიზანი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოსწავლის თავი საჭირო მასალით გამოავსოს; მაშინ კაცი მთელ თავის სიოცხლეში სწავლას მოუწოდებოდა და ვერც არაფერს ისწავლიდა; არა, სასწავლებლის მიზანი უფრო მკირა,—იმას მიზნად აქვს, გაუღვიძოს კაცს ცოდნის მოყვარეობა, შეაჩვიოს ლოლიკურად აზროვნებას, შეასწავლოს სამეცნიერო მასალების შემუშავება,—და ერთი კიდევ ყველაზედ დიდი,—ჩაუგდოს საფუძველი თვით-განვითარებას განსაზღვრული მიმართულებით, ასე, რომ სასწავლებლიდგან გამოსვლის შემდეგ, კაცს

შეედლოს შესაფერი გზა აირჩიოს ცხოვრებაში. თუ შეკოლამ ამას მიაღწია, მისი მიზანი სისრულეშია მოყვანილი. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომდა თვით-განვითარების მიზანი განხორციელებული იყოს. რა რიგ კარგიც უნდა იყოს სასწავლებელი, როგორადაც უნდა იყოს მასში სასწავლო საქმე დაყენებული, ის მაინც ვერ მოამზადებს კაცს ისე, რომ მას ცხოვრებაში მეტი ზრუნვა აღარ დასჭირდეს. არა, სკოლა მხოლოდ იწყებს იმ დიად საქმეს, რომლის გაგრძელებაც აუცილებელია და ძვირფასი ვალდებულებაა ცხოვრებაში ადამიანისათვის. ის ვალდებულება აკისრებს კაცს სასიამოვნო, მაგრამ ძნელ მიზანს თვით აღზრდისა და თვით-განვითარებისას. ეს მიზანი ყველას, ვისაც არ სურს უმეცრების ქაობში იყოს, უნდა სისრულეში მოჰყავდეს საკუთარის ძალით.

ის, რაც ჩვენ ვთქვით სასწავლებლის მიზანზედ და თვით-განვითარებაზედ საერთოდ,—ითქმის აგრეთვე კერძოდ სასულიერო სასწავლებლებზედაც. სასულიერო სკოლას შეუძლია მისცეს მომავალ მწყემსს საჭირო ცნობანი, მისი თანამდებობის ასასრულებლად, შეუძლია შეაგებინოს მას მისი დანიშნულება, მხოლოდ არასოდეს არ შეუძლია შექმნას ღირსეული საეკლესიო მწყემსი: ეს თითონ მწყემსის საქმეა და სკოლისათვის შეუძლებელი.

უშუქვლია, ბევრი მწყემსთაგანი იგნებს ამ დიად მიზანს და ცდილობს, შეძლებისა დაგვარად, განახორციელოს იგი ცხოვრებაში. ბევრს თითონ სამსახურის პირობები აიძულებენ,—ქელაქის ცხოვრება და ინტელიგენციასთან დამოკიდებულება, რომ შეიგნონ ეს დიდი მოვალეობანი. მაგრამ რჩებიან დიდძალი მწყემსნი, რომელთაც ეს მიზანი ეჩვენებათ საოკრად, ზედმეტად და ძნელ ასასრულებლად. ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმ მწყემსთ, რომელნიც ხელმძღვანელობენ მიყრუებულ ალაგებში გაზნეულ სამწყისთა. რა საჭიროა,—შეიძლება სთქვან მათ,—ჩვენთვის სწავლის გაგრძელება, როდესაც ჩვენ სკოლაში მიღებულ ცნობებზე კარგად გვეყოფნის!

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოფლის მწყემსისთვისაც არ არის საკმაო მარტო სასკოლო მომზადება, რომ მისთვისაც, როგორც ყველასათვის, თვით განვითარება არა თუ ზედმეტია, არამედ საჭირო. ამ ჟამად ხალხი იღვიძებს და ამნაირად კარგ ნიადაგს უმზადებს საეკლესიო მწყემსს. მართლაც,

მიიხედ მოიხედეთ გარშემო,—ყველაზე ვრცელდება განათლება,—ყველაზე იხსნება სამრევლო და სამინისტრო სკოლები, ფართოდდება მწიგნობრობა. დააკვირდით მდაბია ხალხის სულიერ მდგომარეობასაც, ის არც ისე შეუღებელია, როგორც ეს ვთქვამთ, 50—60 წ. წინათ იყო! განათლების სხივი ნელ-ნელა არღვევს ხალხის სიბნელეს, ანათებს მის აზროვნებას და უფართოვებს მოთხოვნილებებს. რკინის გზა უადვილებს სოფლის ხალხს ერთი ადგილიდან მეორეშიდ გადასვლას, ლუკმა პურის საშოვნელად. იმას ბევრი რამ ესმის, ბევრ რამეს ხედავს. იმას ბევრი კითხვები და ექვები ებადება. კითხვები თხოულობენ ახსნას და განმარტებას, ექვები—გამართლებას, გაუგებრობა—გარკვევას. სად ფიქოს მან თავის კითხვების პასუხი? სოფელში, სადაც ის ბრუნდება გამსქვალულებს სხვა-და-სხვა აზრებით, ერთად ერთი ხელმძღვანელი—მწყემსია. ის მიეშურება თავის სულიერ მამასთან ექვების გასაქარებლად. რით უნდა დაკმაყოფილოს ეს გაღვიძებული აზროვნება იმ მწყემსმა, რომელმაც დღეი ხანია ვაათავა სკოლა და თითქმის ვადაიწყა რაც იცოდა? რას უპასუხებს იგი ცნობის მოყვარეს კითხვებზე? რა დარიგვას მისცემს იგი მას, ვინც მისგან ელის სინიდიონის დამშვიდებას? ნუ თუ ვაჭაუბლებმა? ან თავის უკოდინარებას ადვიარებს? მაგრამ მაშინ რითი უნდა სამწყსოში მოპოვოს ვაგონება? მართალი არ იქნება ვანა ამ შემთხვევაში ის კაცო, რომელიც სხვადას დაუწყებს ძებნას ამ კითხვების პასუხს? და აი ამ დროს მოიღის მგელი, იტაცებს ცხოვართ და დენის მათ. ხდება ვანრიგება მართლ-მადიდებელი ეკლესიისაგან... და ეს ხშირად ხდება იმიტომ, რომ სამწყსოს სულიერ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს მწყემსი; როდესაც კაცი პოულობს ნამდვილ პასუხს თავის კითხვებზედ სხვისაგან.

მაშასადამე თვით ცხოვრება აძიულებს თანამედროვე მოძღვარს,—არა თუ მარტო ქალაქად, არამედ სოფლებსაც—ცადნის შეძენას, ვანათლებას, რომ ამნაირად დაკული იყოს ვაგონა სულიერი ხელმძღვანელისა სამწყსოში.

სამწყსოში, ბევრი სემინარიელი სრულებით აღარ რაცს საჭიროდ თავის ვანვითარებას, რადგან დიდად დამიდებული არიან თავიანთ სწავლასა და დიპლომზედ. სრულებით უკრადლებას აღარ აქცევენ ცხოვრების სკოლაში სწავლის ვანგრობასა და აი სწორედ ეს დაუდგვობა მიზეზი იმ სამწყსოში შეხედულებისა ზოგჯერ ნასწავლ მოძღვრებზე, რომელიც მათ სამწყსოს შეუღდენია მითზედ.

## დროების მოკლინება.

(სარწმუნოებრივი მოძრაობა ექიმთა შორის).

შეტყობილია, რომ ექიმები უმეტეს ნაწილად თუ მტრულად არ უყურებენ ეკლესიისა და საზოგადოდ სარწმუნოებას, ყოველ შემთხვევაში გულგრილინი მინც არიან სარწმუნოების შესახებ.

მაგრამ ამ „ჩვენი დროის ვონებით რყევის დროს“, ზნეობით დამდაბლების, ჩვენი ინტელიგენციის სარწმუნოებით დაკემის დროს, იმ დროს, როცა მართლ-მადიდებელი ეკლესია მედგრად ებრძვის თავის მტრებს, აი სწორედ ამ დროს ჩვენ ვართ მოწამე არა ჩვეულებრივ შემთხვევათა.

მე-XX საუკუნე რუსეთის ეკლესიის ისტორიაში იწყება შესამჩნევი მოძრაობით ექიმთა წოდებაში.

დოკტორი ობოლენსკი, რომელიც 9 წელიწადი ზედზედ ექიმობდა ქ. ელატაში, მარად-მადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ძლიერი დამცვენი ვახსია, მაღალ ხარისხოვანი ნიკოლაევის ეპისკოპოსის ხარისხით, სამარის ეპარქიაში. აი რას ვკითხულობთ ჩვენ მის სიტყვაში, რომელიც ეპისკოპოზად კურთხევის დროს (წელიწად ნახევარია) წარმოსთქვა: „ავადმყოფთა სარცელთან ყოფნის დროს მე ვისწავლე მწუხარეთა პატივისცემა, ვიდრე მხიარულთა, მე მერ უკრადლებას ვაქცევი ადამიანთა ვაჭირვებას, ვიდრე ამა ქვეყნის ამაოებას. სწორედ ამ სარცელთან ვაგვეყანი მე ადამიანთა ნამდვილ ცხოვრებას. მე არ მაკმაყოფილებდა მხიარულთა წრე, მათი უღარდელი ცხოვრება, რადგან ვიცოდი, რომ დღევანდელი სიცილი, შეიძლება ტირილად შეცვლილიყო... ავადმყოფობათა მიზეზების გამოკვლევამ, მე დამარწმუნა საღმრთო წერილის სიტყვების ქეშმარიტებაში, რომ ადამიანთა წვალება და ავადმყოფობა ცოდვებზედ არის დამოკიდებული; „საგზალი ცოდვილისა სიკვდილი არს (რომ. 6, 23), საექიმო მეცნიერებაც და საღმრთო წერილიც, ერთი ერთმანეთს ეთანხმებიან, ორივე ერთი და იგივე აზრისა ავადმყოფობაზედ, მხოლოდ სხვა-და-სხვა სიტყვით გამოხატვენ ამას. მე დიკინა ამბობს; თავს ნუ ავებ, საღმრთო წერილი კი: ნუ სკოდავ. მე



გავიგე, რომ ექიმები არა თუ მარტო უნდა სწამლობდნენ, არამედ უნდა ასწავებდნენ კიდევ; თუ რა რიგია წესიერი ცხოვრება. დასასრულ ავადმყოფთა სარეცელთან მე ვსცანი განმკურნებელი ძალა ღვთიური მადლისა წმ. საიდუმლო ზიარებაში. ბევრნი ავადმყოფთაგანნი, რომლებზედაც ექიმებს იმედი ქონდათ ვადწყვეტილი, წმ. ზიარების მიღების და ზეთის ცხებას შემდეგ, ექიმებისათვის მოულოდნელად კარგად ხდებოდნენ. სამწუხაროდ საზოგადოებაში ვაბყენილია ის აზრი, რომ ზეთის ცხება სიკვდილისთვის მომზადებაა! სიკვდილისათვის კი არა სიკაცხლსათვის და განკურნებისათვისა...

„მე, როგორც ექიმი, გამოცდილებით დავრწმუნდი, თუ რა ძლიერი განმკურნებელი ძალა აქვს ეკლესიის საიდუმლოთ იმ შემთხვევაშიდაც კი, როდესაც მეცნიერება და ექიმები, სრულიად უძლეურნი არიან. ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, მაშინაც სამწუხარო იყო, როდესაც ბევრი ავადმყოფთაგანი მოწყვეტილი იყო ამ ღვთიურ შემწეობას, რადგან ღვდის ძუღუღვან შებრუნდო ქონდათ შიში წმ. ეკლესიის საიდუმლოებისა. ჩემგან ნახული, მე დღითი დღე მახლოვებდა წმ. ეკლესიასთან. მე დაჟინებით ურჩევდი ჩემ ავადმყოფთ, ექიმობის გარდა, მიეღოთ წმიდა საიდუმლო, თვით ავადმყოფობის თავივიე.“

„და აი ეხლა, ამ ბრწყინვალე დროს, წინაშე ყოვლის მხილავი ღმრთისა ვღვთიარებ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფნი წმიდის გულთი მიმართავდნენ ამ საშუალებას, რომ არ განკურნებულყვნენ: ყოველთვის ემჩნეოდათ შეღავათი და სრულიად განკურნება. ასე ამნაირად, მე ავადმყოფთა სარეცელთან შევეჩვიე ღვთის შიშს, ვსცანი წმ. საიდუმლოთა ძალა და გულში ჩამვიარდა მოძღვართა პატივისცემა“...

ყოველივე ეს ექიმის პირით ნათქვამი, რომელმაც საექიმო მეცნიერება გაიარა და არქიმანდრიტობაშიც არ დაუტოვებია ექიმობა, ეწინააღმდეგება ლ. ნ. ტოლსტოის გმობას, მიმართულს წმ. ეკლესიისა, წმ. საიდუმლოთა და სამღვდლოებისადმი!..

მეორე ექიმი, ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა, საერობო და საქარხნო—ღმიტრი ივანეს ძე ლაზარევი, ერთი წლის წინად, შემდეგ ცოტა ხნის რყევისა, მიწისა და ცის ქვეშ, ეკურთხა მღვდლად რიაზანის

და ზარაისკის ეპისკოპოზ პოლიევქტოსთან. ის შეუდგა უბრალო სოფლის მოძღვრობას ქვემარტივ მოწოდებით და ხარკვის არქიეპისკოპოსის ამბროსის აღთქმით: „შევიკიბნენით და ჩასდევით ქრისტესათვის მეამართ პირველ რაზმებში, განათლებულნი ქრისტიანენო, რომელნიც სარწმუნოებასა დიამარხებთ გულსა შინა, თქვენი ბრძოლის ნაყოფი მალე ვახარებს, და თქვენ იმას იხილავთ თქვენი თვალით და იგრძნობთ თქვენი გულით, მხოლოდ ღვთისადმი აღთქმას ნუ უღალატებთ და იყავთ მედგარი!“ აი რა დასწერა თავის დროშაზედ უბრალო სოფლის მღვდელმა—ექიმმა ღმი. ივ. ლაზარევი.

და ამ ყამად ის ექიმობს, როგორც ხორციელად, ისე სულიერად და როგორც მოძღვარი. ის ამ ყამად იღვწის რიაზანის გუბ. სპასკის მახრის სოფელ უსტორაონში.

მესამე ექიმმა და მასთან ხარკვის უნივერსიტეტის პროფესორმა, მედიცინის დოქტორმა ა. ნოლტოვმა, ახლო ხანად გამოუშვა წიგნი შემდეგი სათაურით: აზრა დემეტა-კაცხუა. ამ წიგნში პროფესორი გამოდის მართლ-მადიდებელი ეკლესიის ბეჯით დამცველად. ამაზედ წინათაც პროფესორმა შემდეგი ბროშიურები გამოაქვეყნა: 1) სულის უკვდავებაზე 2) ურწმუნოთა შიშის 3) ეთიკა და სარწმუნოება ინტელექტუალის და მისწავლე ახალ-გაზრდათა შიშის.

უკანასკნელ შრომას „აზრი ღმერთ-კაცზედ“, შემდეგი სიტყვებით ათავებს: „ჩემი სიტყვები—ცალიერი ხმა არ არის, არამედ გულის სიღრმიდგან აღმოხეთქილი აღსარებაა, ჩემი სულის კვეთებაა, სულიერი სიტკბოება, რომელსაც მე ჩემი ხანგრძლივი სარწმუნოებრივ მოღვაწეობით მივაღწიე“.

მეოთხე ექიმმა სერგეი აპოლონის ძე აპრაქსინმა ნიეგვოროდის საგუბერნიო საავადმყოფოს ორდინატორმა, წარსული წლის დიდ მარხვაში, მეტისმეტი საინტერესო—საჯარო ლექცია წაკითხა: „მარხვისა და ლოცვის შესახებ“. ამ ლექციათა თვის დროზედ დიდი გავლენა იქონია ნიეგვოროდის ინტელიგენციაზედ და ამ ყამად გამოცემულია ეურნალ „სამისიონერო მიმოხილვ“-ისაგან ცალკე წიგნაკად.

აღნიშნულ ლექციაში, რომელმაც მრავალი მსმენელი მიიპყრო, პატივცემულმა პროფესორმა დაამტკიცა მარხვისა და ლოცვის დიდი სარგებლობა,



როგორც სულისათვის, ისე ჯანმრთელობისათვისაც. ამისდა დასამტკიცებლად მან იხმარა თანამედროვე საექიმო მეცნიერების ცნობები და ძველ ქრისტიანეთა გარდახვეწილი ცხოვრება.

„შეუღლებით მხოლოდ ლოცვას — ამბობს სხვათა შორის დოქტორი აპრაქსინი, — და სარწმუნოება თავის თავად მოვა თქვენთან, თუ კი ის თქვენში სუსტი იყო, განმტკიცდება და თანდათან შეგვეცვლებათ ცხოვრებასთან დამოკიდებულება. ლოცვა დროებითად გავაშორებთ ჩვეულებრივ ფიქრებს და ინტერესებს, ავამალღებთ ზეცისადმი; უნებურად დავაწყებინებთ იმაზედ ფიქრს, რაზედაც წინად სრულიად არ ფიქრობდით, ბევრ რამეს ვაგრძნობინებთ ლეითური მადლის შემწეობით, გამოაკვლის თქვენ წინადადლ აზროვნებას, აღმოაცენებს თქვენში სარწმუნოებას და ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრებისადმი მიდრეკილებას. განაკურნებს თქვენში მძიმე და სამწუხარო სენს — ურწმუნოებას, ლოცვა შეერთებული ეკლესიის მტკიცე მოთხოვნისგან, ბევრს შეგვეწვივთ ხორციულად ავადმყოფობაშიდაც... ეკლესიის მოთხოვნისგანათა მტკიცე ასრულება, საუკეთესო საშუალებაა ნერვებ აშლილთა და სულთღვრად დაუძღვრებულთა განსაკურნებლად. მართლაც, ცხოვრება გვიჩვენებს მრავალ მაგალითებს, როდესაც ნერვებ აშლილი კაცი, რამოდენიმე წლის ნაექიმები ტყვედ უბრალოდ, ძლიერ მალე მორჩენილა შემდეგ იმისა, რაც ღვთისადმი მოქცეულა და ეკლესიის მოთხოვნისგანათა მტკიცე ასრულება დაუწყია. მე ბევრი ვიცი ასეთი მაგალითები და მგონი, არც სხვებს ეცოდინებათ ნაკლები. აპრაქსინმა «სამისიონერო მიმოხილვაში» დასტავაბა სტატია, რომელშიდაც განმარტებს თავის ურწმუნოებიდან მოქცევას მართლ-მადიდებელი ეკლესიისადმი.

უღალვაობისა გამო ჩვენ არ შეგვიძლია მოვითავსოთ აღნიშნული სტატია პატრიარქული ექიმისა, მაგრამ ურჩევთ მის წაკითხვას იმ ინტელიგენტებს, რომელნიც მტრულად ეკიდებიან სარწმუნოებას და ეკლესიას.

ამ ახალგაზრდა ექიმის აღსარებიდან, იმათ შეუძლიანთ დარწმუნდნენ, რომ ამ ჩვენ ურწმუნო საუკუნეშიდაც სასწაულები ხდება.

ექიმი აპრაქსინი უწყარობლი იყო გულის სისუსტით, იმან ყოველივე ზომები იხმარა; მიმართა

საუკეთესო ექიმებს რუსეთში, აგრეთვე გაეგზავრა სამზღვარ გარედ ბუხგემშიდაც, რომელიც განთქმულია ასეთ ავადმყოფთა ექიმობით, მაგრამ ამან არ უშველა.

მხოლოდ მარხვამ, ლოცვამ და ეკლესიისადმი მოქცევამ აღადგინეს მისი ჯანმრთელობა. ასე, რომ ამ ყაზად იგი მუშაობს თავის საავადმყოფოში და კერძოთაც ბევრს არჩენს.

იმავე აპრაქსინმა დაბეჭდა სტატია ლ. ნ. ტოლსტოის წინააღმდეგ, „სამისიონერო მიმოხილვაში“. ჩვენ ვიცი თ კიდევ ბევრი ექიმები, რომლებიც სავსებით ასრულებენ იმ მოთხოვნისგან, რისთვისაც წმ. ეკლესია გვიწოდებს. ბევრნი არიან ისეთი ექიმები, რომლებიც ცდილობენ მეცნიერებისა და სარწმუნოების დაკავშირებას და ამნაირად ხელს უწყობენ ურწმუნოთა მოქცევას.

საერთოდ ახალი საუკუნის დასაწყისი აღინიშნა ექიმთა სარწმუნოებრივი მოძრაობით, რომელიც ამ წოდებისთვის ჩაითვლება დროების მოვლინებათ.

**საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დანსნების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.**

დასსსრული \*).

განსაკუთრებული მოსაზრება ზემოხსენებულის კომისიის ერთ-ერთის წევრისა, დამსახურებულის ორდინარის პროფესორის ნ. კ. პოკროვსკისა.

„შესახებ საქართველოს საეკლესიო ისტორიის ცალკე კათედრის დაარსებისა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში მე იმავე მოსაზრებაზედ ვდგევარ, როგორც პირველის კომისიის მოხსენების დროს ვიყავი. ჩემს მოსაზრებას ამ საგნის თაობაზედ ვამყარებ შემდეგ მსჯელობაზედ:

I. საკითხი ამ კათედრის დაარსების შესახებ აღიძრა ადგილობრივ, საქართველოში, საეკლესიოს ისტორიო მეცნიერების ადგილობრივი წარმომად-

\*] იხ. „მწვემისა“ № 20, 1902 წ.



გენლებთა შორის, როგორც „მომწიფებელი საკითხი“ (направший вопрос), რომელიც თხოულობს დასკვნასა. შესაფერისი დრო ამ საკითხის გარდაწყვეტისა ახლაა—ვეფლისხმობთ ასის წლის დღესასწაულობას დღიდან ერთ-მორწმუნე საქართველოს შეერთებისა რუსეთთან—ცალკე საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსება, ისტორია რომლისაც გათავალისწინებელია მრავალწამებულისა საქართველოს ბედისწრისა და მისის საეკლესიო ცნობიერებისა, ნამდვილი პატრიოტული საქმე იქნებოდეს. პირველმა კომისიამ ამისთანა თვალთ შეხედა ამ საკითხს და მართლ-მსაჯულებაც გამოდიოდა მასში.

II. ამ საკითხის იმეგარად გადაწყვეტა, რომ აკადემიაში დაარსდეს ახალი კათედრა „საბერძნეთის საეკლესიო ისტორია ეკლესიების განყოფილების შემდეგ ახალს დრომდე ამაზედ დამატებით საქართველოს საეკლესიო ისტორიისა“<sup>1</sup>, როგორც ცალკე საეკლესიო ისტორიის ნაწილისა, დროსა და წრის მოთხოვნებთან არ შეფერვება და ძალთ საქართველოს ისტორიის გარემოზღვრულად ნიშნავს. ასე რომ მოხდეს საქართველოს საეკლესიო ისტორია დაპირაგვს თვის ერთიანობასა და ფასს, რადგან მისი გავრიანება საბერძნეთის საეკლესიო ისტორიისთან ხან მოკლეა და ცალ-მხრივიც; ამასთანავე მიზანს მაინც ვერ მივახწევთ; აქედამ წარმოსდგება გადაცემის დროს ორქოვობა და პროფესორი იძულებული გახდება ხან იქით ეყვს და ხან აქეთ; უკეთ რომ ვსთქვათ, სპეციალისტს რომ ერთს საგანზედ ექმნება მიტყეული ყურადღება, მეორე სულ დარჩება შეუმწევლად, ე. ი. საბერძნეთის ისტორიის რომ მიჰყოს პირველად ხელი, საქართველოს მოხსენებაში აღარ ექმნება, რადგან თუ ასე არ მოიქცა ვერ დააკმაყოფილებს იგი სპეციალური მეცნიერებითი მხრივ ისტორიის შემუშავების სამდროო მოთხოვნისას. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქო სპეციალისტის მოწაზადება საქართველოს და საბერძნეთის ეკლესიების ისტორიის ერთი და იგივე არ იყოს. თუ საბერძნეთის საეკლესიო ისტორიის კათედრაა ჩვენთვის საჭირო, მაშინ ამაზედ ცალკე უნდა გამოითქვას მსჯელობა მიუხედავად საქართველოს საეკლესიო ისტორიის მასთან დამოკიდებულებისა; უკეთუ რაიმე პრაქტიკულის ანუ ფორმალურის მსჯელობისა გამო, რო-

მელსაც ამაყრებენ მაგ. აკადემიის წესდებულებაზედ, საჭირო შეიქმნებოდა საბერძნეთის ისტორიის რომელიმე სხვის ისტორიისთან შეერთება, მაშინ ამასთან დაახლოვებული უფრო იქნებოდა სლოვენთა ეკლესიების ისტორია და არა საქართველოსი; მაგრამ ამნაირი შეერთება არ გამოუწყვეია არსებითად არც თვით საქმის ვითარებასა, ანუ ისტორიის მეცნიერულად შემუშავების მოთხოვნისას და არც არავითარი მიზეზი ყოფილა ამ ქამად ამისთანა შეერთებაზედ სიტყვის ჩამოგდებისა; აკადემიის წესდებაში იმის კლენვა-ძიება, თუ რას ნიშნავს თვითეული ასო მისი, ნამეტნავად მიგვაჩნია: ჩვენ იმას კი არ გვეკითხებიან წესდებულებაში არის თუ არა საქართველოს საეკლესიო ისტორიაო, არამედ იმას—საჭიროა და თავის დროზეა თუ არა ამისთანა კათედრის დაარსება აკადემიაში? ამ პირდაპირ კითხვაზედ ჩემის ფიქრით, ამისთანა პასუხი უნდა მიეცეს:

III. კავკასიამ და კერძოდ საქართველომ იმდენი ნაშთნი დაიცვა დღემდის, რომ ამის მაგალითს სხვა ქვეყნებში იშუათად ვხედავთ. ეს ნაშთი იმდენად მრავალ-რიცხოვანი და მრავალ-ფეროვანი არიან, რომ მათი მეცნიერულად გამოკვლევა საკმაო შუქს მოჰყენს არამც თუ საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, არამედ საზოგადოდ აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიისაც. კავკასიის პირველყოფილ კულტურის ნაშთს რომ თავი დაეანებოთ, რომელიც დიდი მნიშვნელოვანია ერთა პირველყოფილის ისტორიისათვის,—მათ შორის ევროპისათვის,—იმ დროს, როდესაც აღწერა და ისტორიის მწერლობის ნაშთნი ჯერ არ იყვნენ, ქრისტიანულს ნაშთებს მაინც უნდა მიეცეს ყურადღება. ეს ნაშთი მწერლობისა, ხელოვნებისა და ნიფთისა.

1) დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საქართველოს მწერლობის ნაშთნი მივიწყებული იყვნენ და მხოლოდ ზოგიერთი მათგანნი, უფრო კი ძველის-ძველი სიგელ-გუჯრები თუ იპყრობდნენ სიძველეთ მოყვარულთაგან ყურადღებას. მაგრამ 80 წ. კი იწყება სისტემატიური და სერიოზული შეკრება მათი და ცოტა ხანში კაი ძალაც შეგროვდეს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავში ტფილისის იმათი რიცხვი აღემატება 1200 ცალს ხელთ-ნაწერისასა, საეკლესიო მუზეუმში სი-



ონის ტაძართან არის აგრეთვე 500 ცალი ხელთ-  
ნაწერი. მრავალი ქართული ხელთ-ნაწერები გაფან-  
ტულა სინაის, პალესტინას, ათონს და პეტერ-  
ბურგის წიგნთ-საცავებში; მრავალია აგრეთვე საქარ-  
თველოს ძველს მონასტრებსა და ეკლესიებში და  
კერძო კაცების სახლებში. საეკლესიო სიგელები  
მავალითადად საქართველოს არქივებში ათი ათასობით  
არის. ეს ხელთ-ნაწერები იწყებიან VII საუკუნიდან  
და მოდიან XIX საუკუნემდე. მათი შინაარსი იმდენ-  
ად მრავალფეროვანი და ღირდა, რომ საეკლესიო  
ცხოვრების და მოქმედების ყველა შესანიშნავ მხარ-  
ეებს ეხებიან; აქ არის მოქცეული საღმრთო წე-  
რილის თარგმანი ძველის და ახლის აღთქმისა;  
ლიტურგიკული ხელთ-ნაწერები; წმიდა მამათა  
თხზულებათა თარგმანი, კერძოდ მისთანათა, რო-  
მელთა დედანი არაგინ უწყის და არცაა გადათარ-  
გმნილი ქართული ენის გარდა\*); ქრისტიანული  
აპოკრიფები, წმიდათა ცხოვრებანი, პოლემიკური  
თხზულებანი, ადგილობრივი საქართველოს კრებათა  
მოღვაწეობანი, თარგმანი ძველთა ფილოსოფოსთა,  
პოეტთა და სხვა საერო საბერძნეთის და აღმოსავ-  
ლეთის მწერალთა თხზულებათა, თხზულებანი მედი-  
ცინაზღედ, ენათა მეცნიერებაზედ, გეოგრაფიაზედ,  
ასტროლოგიაზედ, მუსულმანობაზედ და სხ. სხვა  
რომ არა იყოს რა რამდენი ათიათასი აქტები შე-  
სახებ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებაზედ მე-  
XVII საუკუნიდან დაწყებული; ისიც ემე ვარეშა,  
რომ შემდეგში მრავალი ხელთ-ნაწერები გამოჩნდ-  
ებიან. ყველა ეს ძვირფასი ნაშთი დღეს კი წარმო-  
ადგენენ ერთ ხელთ-უბლებელს განძსა, რომელიც  
თხოულობს მეცნიერულად განხილვისა. განსაკუთ-  
რებით მათზე დაძმარებული საქართველოს საეკ-  
ლესიო ისტორია. ეს ნაშთნი შეუქმ მოდენენ საქ-  
ართველოს საეკლესიო ზოგიერთ ხანებსა, აქა  
მეცნიერების და განათლების აღყვავებისა და დაცე-  
მის ხანა და ნიადაგი საქართველოს შეურყევლო-  
ბისა მართლმადებლობისადმი; უცხო სწავლასთან  
ომი, საეკლესიო მმართველ-გამგებობის წესი; ერთი  
სიტყვით, ისინი შეადგენენ მტკიცე საფუძველს,  
ურომლისოდაც შეუძლებელია ნამდვილი ისტორია;  
აქნობამდე არ არსებობს ამისთანა საეკლესიო ის-

ტორია, თუმცა კი ძლიერ სასურველი და საჭიროა  
იგი, და მისი შემუშავება შეადგენს ჩვენს მიუცი-  
ლებელ მოვალეობას.

2) ნაშთების მეორე ჯგუფს წარმოადგენს ნიე-  
თიერნი ნაშთნი ანუ ეკლესიური ხელოვნების  
საწარმოებნი; ამას ეკუთვნიან ნაშთნი საეკლესიო  
ხუროთ-მოძღვრებისა და კედლის მხატვრობანი: ხა-  
ტები, ლითონი და ემალი, მინიატიურები, ქარგვა-  
კრევა, ეპიგრაფიულნი ნაშთნი. ამისთანა ნაშთები  
საქართველოში ბევრია ძლიერ მე-X საუკუნიდან  
მე-XVII თუ არ მივიღებთ სახეში ბიჭვინტის ტა-  
ძარს და ნეკრესის კედლის წარწერას, რომელნიც  
უფრო ძველის დროის არიან. ზოგი მათგანი უძვე-  
ლესნი არიან მოწმენი საქართველოს და ბიზანტიის  
ერთი მეორესთან დამოკიდებულებისა, ზოგი კი მოწ-  
მობენ საკუთარს ეკლესიური ხელოვნების მეტო-  
ნობასა. ამ მხრივ საქართველოში ჩვენ ვხვდავთ  
ამისთანა განვითარებას ისტორიულს ხელოვნებისას,  
როგორც რუსეთშია. მრავალი ბიზანტიურ-ქართუ-  
ლი ნაშთნი ხელოვნების გამოცემული და აღწერი-  
ლია; ზოგი მათგანი მეცნიერულადაა გამოკვლეული,  
მაგრამ ყველა ამ ნარკვევთ (ბაქრაძე, კონდაკოვი  
პომილაოვსკი, გრაფ. უვაროვისა და სხ.) ერთი  
საზოგადო ისტორიულ მოვლენათა დამოკიდებულება  
აქლია, რომელიც დროთა მსვლელობის დავიარად,  
შევა, როგორც მისი შემავრთებელი ნაწილი, მთლად  
საქართველოს საეკლესიო ისტორიაში. ეს მასალა  
თანდათან გამარჯვებული რიცხვით, უფრო დაუას-  
დება და ჰორიზონტი მეცნიერებითი შესებულება-  
თა ბიზანტიის, საქართველოს, რუსეთის და სომხე-  
თის ხელოვნებათა ისტორიის კითხვათა შესახებ  
უფრო გაფართოვდება. აშკარაა რომ ამ მხრივ  
თაც სპეციალური კაენდრა საქართველოს საეკლეს-  
იო ისტორიისა დიდ მნიშვნელოვანი იქნება; კი-  
ნაიღვან მნიშვნელობას არაა მოკლებული ასეთი  
დელი მასალა, ამისათვის ის უნდა მიუჩინოთ შესა-  
რეშუმებლად სპეციალისის კათედრას საქართველოს  
საეკლესიო ისტორიისა და არა ძველის საბერძნე-  
თისას, სადაც ის შესაფერისად დაფასებული არ  
იქნება.

IV. არც თუ საეკლესიო პრაქტიკული მხარე  
ამ კითხვისა უნდა დარჩეს უყურადღებოდ. თუ ის  
სარწმუნოა, რომ ქეშმარიტი მეცნიერული სწავლა  
არამც თუ არასოდეს საზიანოა, არამედ ყოველთვის

\*) Нааръвшій вопросъ. Ко дню присоединенія  
Грузіи къ Россіи. Е. К. 1801 12/IX 1901 г. г. Тиф-  
лисъ. 1900 г. стр. 22—23.



ცხოვრებაში მხოლოდ სასარგებლოა, მაშასადამე უქვეყნო ისიც, რომ ეს კათედრა, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი წყარო სარგებლობას მოიტანს. მართლმადიდებლის ივერიის ეკლესიის თავ-გადასავლის შესწავლა, რომელიც დიდად სასარგებლოა საზოგადო ადმოსავლეთის მართლ-მადიდებლობა-სათვის და კერძოდ ივერიელების ისტორიისათვის, გაცნობა დაწესებულებათა, ზნეობისა და ჩვეულებათა არამც თუ თანამედროვე ეთნოგრაფიულის დაკვირვების შეოხებით, არამედ ისტორიულის ნარკვევების მეოხებით აღმალღებენ მისიონერულ, სარწმუნოებრივ ასპარეზს კავკასიაში და, რაც უფრო საქირია, შეძლებს მისცემს სასულიერო მთავრობას მოაწესრიგოს საეკლესიო საქმეები საქართველოში, უკუაფადოს ხშირად გამეორებული დაბრკოლებანი და სიძნელენი, რომელნიც წარმოსდგებიან საკმაოდ ერის სულის მდგომარეობისა და ისტორიის უტოდინარობისა გამო, განმტკიცდება უფლება დამოკიდებული ცოდნისა, მშვიდობისა და სიყვარულზედ. ივერიას კუველთვის 400 წლის განმავლობაში ერთმორწმუნე რუსეთისაყენ ექირა თვალ-ყური; რადგან მართლ-მადიდებლობის დროშა მკლდა ეკავა მას, ამისათვის პოლიტიკურად და ეკლესიატ შეუერთდა რუსეთის და ამით შევიქნა რუსეთის მართლ-მადიდებლობისათვის დიდა ბოძი აზიის ერთა ძალ-მომარეობის წინააღმდეგ; ეს მოსაზრებანი, რომელნიც შორეულს ძველს დროს ეხებიან, ამ ჟამად დიდს ინტერესს წარმოადგენენ, რადგან თანდათან მატულობს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მოძრაობანი, მიმართულნი წინა აზიაზედ დასავლეთ ევროპიდან.

V. ამისთანა კათედრა უნდა დაარსდეს ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რადგან მასში, როგორც სატახტო ქალაქში, სხვაზედ უფრო ზედმეტი საშუალებანი მოიპოვებიან.

